

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსა და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი), ანიჭებენ რა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსა და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის განათლების სფეროში თანამშრომლობის დამყარებასა და განვითარებას;

აღიარებენ რა თითოეული მხარის ინტერესს, ხელი შეუწყონ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის საგანმანათლებლო სივრცის განვითარებას;

ეყრდნობიან რა თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

ამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (შემდგომში – მემორანდუმი), მხარეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოხატავენ და ადგენენ, განათლების სფეროში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივის განხორციელების საერთო მზადყოფნას.

მუხლი 2

თავიანთი მიზნების განსახორციელებლად, მხარეები ითანამშრომლებენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ:

1. განათლების მიღების შესაძლებლობის ყველასათვის ხელმისაწვდომობას;
2. საჯარო დაწესებულებებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებას;
3. სტაჟირების ერთიანი სტანდარტის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სექტორში დასაქმების მსურველთათვის ჯანსაღი კონკურენციის

- შექმნასა და საჯარო სამსახურში დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლებას;
 - დასაქმების თანაბარი პირობების შექმნას, როგორც რეგიონებში მცხოვრები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

მუხლი 3

მემორანდუმი არ ზღუდავს თანამშრომლობის სახეებსა და ფარგლებს. მხარეებს შეუძლიათ, ითანამშრომლონ სხვა საკითხებში თითოეული მხარის ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 4

მემორანდუმი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. თითოეულ მხარეს შეუძლია, ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმის მოქმედება, მხარეებისათვის 15 (თხუთმეტი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

მუხლი 5

მემორანდუმში შესაძლებელია ნებისმიერი ცვლილების შეტანა მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ცვლილებები ძალაში შედის ორმხრივი ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 6

მემორანდუმი ძალაში შედის ორმხრივი ხელმოწერის დღიდან.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი



კატერინე ქარდავა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო



უნივერსიტეტის რექტორი

თეონა ხუფენია